ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3607139

ნომერი: AR1546846

თარიღი : 05.10.2017

გაცემის თარიღი : 12.10.2017

გაცნობის თარიღი : 12.10.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯავახეთი , N 66ა (ნაკვ.14/130) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა კაჭარავა პ/ნ 01030044982
- თბილისი მ.მამარდაშვილის ქ. N 46

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ და წარმოადგინოთ შემდეგი:

- "მოთხოვნის შინაარსის ტექსტში" მიეთითოს საპროექტო შენობის ზუსტი ფუნქცია და დანიშნულება. ასევე განიმართოს საპროექტო დავალებით ჩასატარებელი სამუშაოების ტაობაზე. აღინიშნოს ხდება არსებული შენობის რეკონსტრუქცია და მიშენება თუ ახალი I კლასის შენობების მშენებლობა. ასევე გაითვალისწინეთ, რომ მითითებული ფუნქცია უნდა შეესაბამებოდეს წარმოდგენილი შენობის ვიზუალს და გეგმარებას.

- წარმოსადგენია საპროექტო შენობის (შენობების) არსებული და საპროექტო გეგმები ექსოლიკაციით. ასევე გაითვალისწინეთ, რომ I კლასს განეკუთვნება: 60 კვ.მ-მდე ფართობის (იანგარიშება იატაკის დონეებზე სართულების განაშენიანების ჯამური ფართობის მიხედვით), 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლები ან ტოლია 5 მ-ისა.

- ვინაიდან მიწის ნაკვეთი დატვირთულია იპოთეკით, წარმოსადგენია იპოთეკის საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში, იპოთეკარის თანხმობა.

- მიწის ნაკვეთზე გადის მილსადენი, წყალსადენის მილი (საკ. კოდით #01.01.834) მესაკუთრე სახელმწიფო. საჭიროა წარმოადგინოთ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ სამსახური სრულყოფილად განიხილავს საკითხს და გაცნობებთ მასში (არსებობის შემთხვევაში) არსებული ხარვეზებისა და დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.